





საკრებულო წევრების 70 წლის იუბილე აღინიშნა

133.

ბის წერილი და სპეციალურად მათთვის დამზადებული მედლები გადაეცა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ დღესთან დაკავშირებით ომის ვეტერანები ასევე 200 ლარს მიიღებენ.



სამშობლოს წინაშე, თქვენი თავდადება, თქვენი გმირობა კვლავ დიდხანს იქნება მაგალითი მომავალი თაობისათვის. თქვენ ხართ არა მარტო ომის მონაწილეები, არამედ - გმირებიც.

„თქვენი უშუალო დამსახურებით ჩვენმა სამშობლომ დიდ გამარჯვებას მიაღწია. სწორედ თქვენ ბრძანდებით ის ადამიანები, რომლებმაც პირნათლად მოიხადეს ვალი

რაგომ არ მისცან დაჯილდოება მთავარი პარტიის წევრებისათვის და კონსერვატივებისათვის შიდა პარტიის სასმარტოს ანგარიშს

133.

კუმენტაცია. შიდა აუდიტის სამსახურმა, შემონახვის პერიოდში ყველა ა(ა)იპს მისცა რეკომენდაცია, როგორ უნდა ემუშავათ ამ კუთხით.

დარღვევა გამოკვეთილი, კერძოდ, ა(ა)იპ საფეხურით კლუბ „ჩხრიმელაში“, ფეხბურთელების კვების ღირებულების ხარჯები აღემატება 5 ათას ლარს, რის გამოც ორგანიზაციის მოსახურებისათვის უნდა გამოეცხადებინა ტენდერი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მალრაძემ, აღნიშნა, რომ შიდა აუდიტის მიერ გამოკვლეული დარღვევებზე და ნარკოდების დამალვაზე ბიუჯეტის ხსენებებზე ვრცლად ისაუბრეს.

საბოლოოდ, შიდა აუდიტის დასკვნას კენჭი ეყარა. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს პარტია „კონსერვატივიზმის“ და „რესპუბლიკელებმა“.

საკრებულოს თავმჯდომარის ამ პოზიციას და დამოკიდებულებას არ იზიარებს ჯამბულ გამცემ-მლიქ და განმარტავს: „ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ ის, ვიღაც არაკვალიფიციური კადრია, მაგრამ კარგი ბიჭია, ან კარგი გოგოა და ამის გამო სამსახურად ვერ გავუყვებით - ეს სტერეოტიპი ხარაგაულში უნდა დამსხვრეს.“

პარტია „რესპუბლიკელებმა“ კენჭისყრაში არმონაწილეობის მიზეზად, ცოტა არ იყოს, უცნაური არგუმენტი მოიყვანეს. დეპუტატმა ომარ გაგაშიძემ ისიც კი თქვა, რომ მისი მხრიდან - მისცეს დადებითი შეფასება აუდიტის ანგარიშს სირცხვილიც კი იქნება.

თაბაჩიძე

9 მაისი უაღრესად გამარჯვების დღეა

ისინი განსაკუთრებული სისაბუქე კით გამოირჩეოდნენ ყოველთვის. მათი რიცხვი თანდათან კლებულობს. ხალხი, რომელთაც უახლესი, ცრემლიანი, სამინდლო ისტორია საკუთარი მხრებით მოიტანეს ჩვენამდე, ამ დღეს ყოველთვის განსაკუთრებული ღელვით ელოდება.

ენერა. ბევრი ვეღარ დაბრუნდა სამშობლოში, ხოლო ვინც დაბრუნდა, კარგა ხანს ველარაფერს ამბობდნენ, ისე იყვნენ შეძრწუნებულნი ნანახითა და გაგონებით.

პირველ 9 მაისს ბევრი იყვნენ, მეორე წელს მეტი... მეორე ამ შეხვედრებს „ოფიციალური“ მხარე მისცეს, კულტურული დატვირთვა დაფორთხეთ და მიუღწევი 9 მაისს ელოდნენ: ერთმანეთთან შეხვედრას, ბრძოლის წლების გახსენებას... ეს დღე წლების მანძილზე მრავალი ადამიანისთვის უსაყვარლესი დღე იყო.

ახლაც ელიან, ახლაც ასეთი, მაგრამ... ერიდებათ აცხადებენ მუხლების, დამჭნარი ხელების, ყავარჯინისა და ორმაგი სათვალის გამო... ამდენი ამბის გადამტანებს წელის ტვივილის გამხვლევე უჭირთ, გულის კუმპისაც, უფიქრობა ანუხებით და აღარც ერთ დროს საყვარელი ჭადრაკისა და ნარდის სათამაშოდ მიუწყვეთ გულს...

ხარაგაულში ორი წლის წინ შეიძინა მოვიდნენ საცხრამისო შეხვედრას, გასულ წელს მხოლოდ ორი...

ჩვენს საამაყო, სპეტაკო ვეტერანებო! ძალიან გვიყვარხართ და გვეამაყებით. ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე და ტკბილი წლები მინდა გისურვოთ! კიდევ მრავალი 9 მაისი აღგვიწმინოს თქვენთვის და თქვენთან ერთად!

მარინა ვეფხვაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ბაზრდოლი სოციალური პაკეტი

4 მაისის საკრებულოს სხდომაზე გამგებობის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსმა, ალექსანდრე ტაბატაძემ სოციალური პაკეტის პროექტი წარადგინა. უცვლელად გადავარდნით პროექტის ნაწილს, რომელშიც გარკვევითაა ჩამოთვლილი ის სოციალური დახმარებები რაც დღეს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ხორციელდება.

დაფინანსება ოპერაციისათვის - 700 ლარამდე; სამედიცინო გამოკვლევებისთვის - 500 ლარამდე;მედიკამენტების შესაძენად - 100 ლარამდე, ბრონქიალური ასთმით, პარკინსონიზმით, ეპილეფსიით დაავადებულთათვის - 200 ლარამდე;სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების შემთხვევაში (ონკოლოგიური და სხვა მძიმე სახის დაავადება) - 700 ლარამდე; გარდაცვლილი ომის ვეტერანების და იძულებით გადაადგილებულ გარდაცვლილ პირთა დაკრძალვის ხარჯების ასანაზღაურებლად - 250 ლარი;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება შემდეგი ოდენობით განისაზღვრება:პირველი ბავშვის შეძენის შემთხვევაში - 100 ლარი; მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში - 200 ლარი; მესამე ბავშვის შეძენის შემთხვევაში - 300 ლარი; მეოთხე ბავშვის შეძენის შემთხვევაში - 400 ლარი; მეხუთე ბავშვის შეძენის შემთხვევაში - 500 ლარი; მეექვსე და ყოველი მომდევნო ბავშვის დაბადებისას - 800 ლარი.

გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და არ არიან ჩართული სახელმწიფო პროგრამაში, მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად წელნადმი 2000 ლარი გადაეცემა; წერტილის კატასტროფის შედეგად დაზარალებულ პირთა ფინანსური დახმარება წელნადმი ერთჯერად -100 ლარი.დაიღუპულ მყოფი მოქალაქეების ფინანსური დახმარება ყოველთვიურად -100 ლარი განისაზღვრება, ხოლო ლეიკემიით დაავადებულთათვის წელნადმი -600 ლარია გათვალისწინებული. უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებულ 57000 სარიტინგო ქულამდე მყოფ გარდაცვლილთა ოჯახის წევრს დაკრძალვის ხარჯების ასანაზღაურებლად200 ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ სამამულო ომის მონაწილეებს და უსინათლო მოქალაქეებს ყოველთვიურად გამოეყოფთ 30 ლარი კომუნალური ხარჯების დასაფარავად.

სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების დაზიანების შემთხვევაში დახმარება კატეგორიების მიხედვით გაიცემა. I კატეგორია - სახლი ან მისი ნაწილი, რომელიც დაზარებულია სტიქიური მოვლენების შედეგად, დახმარება 1500 ლარამდე; II კატეგორია - სახლი არ არის დაზარებული, მაგრამ დაზიანებულია სტიქიური მოვლენების შედეგად და საცხოვრებლად გამოუადგურა, საცხოვრებელი სახლი აღდგენას არ ექვემდებარება. დახმარება 300 ლარიდან 1000 ლარამდე; III კატეგორია - სახლი დაზიანებულია სტიქიური მოვლენების შედეგად, რომელიც აშუამდ ცხოვრობენ და საცხოვრებელი სახლი აღდგენას ექვემდებარება, ფინანსდება 200 ლარიდან 500 ლარამდე; IV კატეგორია - სახლი საცხოვრებლად ვერაგოსია, მაგრამ მიმდებარე ტერიტორია დაზიანებულია სტიქიური მოვლენების შედეგად და დახმარება შენობა-ნაგებობების განადგურების შედეგად მოქალაქე მიყენებული აქვს განსაკუთრებით დიდი ზარალი, ფულადი დახმარება მიეცემა 1000 ლარის ოდენობით.

საკრებულოს სხდომაზე, წარმოდგენილი პროექტის ირგვლივ მსჯელობა გაიმართა. ზოგს მოსწონდა დამატებული სოციალური პაკეტი, ზოგი ამბობდნენ, პროექტი დასახვეწიაო, ერთჯერადი ფულადი დახმარების თანხები გადასახედიაო და ა.შ. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ქალბატონი მანანა ბარბაქაძე დაინტერესდა გასულ წლებთან შედარებით სოციალურ პაკეტებში რა კონკრეტული მუხლები იყო დამატებული.

ქენბ შემოვიღოთ რაიმე ნაშახლისებლები, რაც შობადობის გაზრდაზე გავლენას იქონიებს. მაგალითად, ყოველ მესამე ბავშვზე დაწესებული 300 ლარიანი ფულადი დახმარება იქნებ 500 ლარამდე გავზარდათ. თუ არა თქმა უნდა, ბიუჯეტი მოგვცემს ამის საშუალებას. კარგი იქნება, თუ დაფინანსებით და ამაზე ვიმსჯელებთ,“ - მიმართა დეპუტატებს ბატონმა ჯამბულმა.

ალექსანდრე ტაბატაძე - „ბატონო ჯამბულ, სახელმწიფო პროგრამით 2013 წლიდან ყოველ მესამე ბავშვზე დაწესდა ფულადი დახმარება ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით. ჩემი აზრით, 300 ლარიანი დახმარება კი არ უნდა გავზარდოთ, თუ ბიუჯეტი ამის საშუალებას მოგვცემს, დაფინანსება უნდა გავზარდოთ მეხუთე და ყოველი მომდევნო შვილის გაჩენის შემთხვევაში.“

სხდომაზე პროექტის წარმდგენის მისამართით შეკითხვები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა. დეპუტატ მომარ გაგაშიძის აინტერესებს, არის თუ არა პროექტში შესული ერთჯერადი ფინანსური დახმარება ხანშიშესული იმ ადამიანებისთვის, რომელთა სარიტინგო ქულა 40 000-ზე ნაკლებია.

ალექსანდრე ტაბატაძე - „გეტყვი, რომ სულ 7 000 სოციალურად დაუცველი გვყავს, მაგრამ მათ შორისაც, სამწუხაროდ, გარჩევითობის პრინციპს ვიყენებთ. ბიუჯეტი არ გვაძლევს იმის საშუალებას, ყველას დავეხმაროთ. მაგალითად თუ გვყავს 8 სულიანი მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც აქვს სოციალური დახმარება, ოჯახში იღებენ პენსიას, ამასთანავე ჩართული არიან დახმარების სახელმწიფო პროგრამებშიც და ასევე გვყავს მარტივხელა ხანშიშესული მოქალაქე, რომელსაც არ აქვს არც სოციალური დახმარება და არც შემოსავლის წყარო, რა თქმა უნდა, პრიორიტეტს ამ უკანასკნელს ვანიჭებთ.“

მუნიციპალიტეტში მიმდინარე სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ეფექტიანობაზე ისაუბრა და კმაყოფილება გამოახატა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ვარლამ (ტატი) თავზარაშვილმა. „მინდა, დიდი კმაყოფილება გამოვხატო იმ პროგრამის მიმართ, რომელიც სოციალური და ჯანდაცვის კუთხით მოქმედებს ჩვენს მუნიციპალიტეტში. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამ მიმართულებებით ძალიან დიდი ნაბიჯები გადაიდა, ამოქმედდა არაერთი სახელმწიფო პროგრამა და ქვეყანაში არ რჩება არცერთი ადამიანი, ვისაც ამ პროგრამებზე წვედომის უფლება არ აქვს. ადგილობრივი ბიუჯეტიდან კი დამატებით ხორციელდება სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები. ეს არის ძალიან კარგი პრეცედენტი. რაც შეეხება დემოგრაფიულ პრობლემას, შევასხვებთ, რომ პროგიერ-მინისტრმა, ამ ცოტა ხნის წინ გააუღერა ახალი ინიციატივა - 10 000 ლარი მაღალმთიან სოფლებში ყველა ახალდაბადებულ ბავშვს. ეს პროგრამა ჩვეს სოფლებსაც შეეხება გარკვეულწილად, რაც ვფიქრობ, ხელს შეუწყობს სოფლიდან ქალაქისკენ მოსახლეობის ემიგრაციას და გაზრდის შობადობის მაჩვენებელს.“

პროექტის შესახებ თავისი მოსაზრება გამოთქვა დეპუტატმა კობა გოგვაძემ და ალექსანდრე ტაბატაძემ რამდენიმე კითხვით მიმართა: „შეიძლება თუ არა სოციალურ პაკეტებში ისეთი ოჯახების დახმარება, რომლებიც არ არიან სოციალურად დაუცველები, არ აქვთ პენსია და არ მუშაობენ. და კიდევ, ხომ არ მიგვექცია ყურადღება ისეთი ოჯახებისთვის, სადაც ახალშობილები ხელოვნურ კვებაზე არიან. ვიცი, რომ ამ მიმართულებით მოქმედებს სახელმწიფო პროგრამა, მაგრამ იქნებ ეს ორი შემთხვევა ადგილობრივ ბიუჯეტშიც გავითვალისწინოთ და მათთვის ერთჯერადი დახმარებები მაინც გამოეყოფო.“

დეპუტატს საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მალრაძემ, უპასუხა: „ბატონო კობა, ადგილობრივი ბიუჯეტი მთლიანად სოციალურ დატვირთვას ვერ მიიღებს, ამას სხვა მიმართულებით სჭირდება მუშაობა. იქნებ ისეთ ოჯახებს, სადაც ვერაწარ დახმარება ვერ იღებენ და არც სამსახურები აქვთ, დასაქმებში დავეხმაროთ. ასეთ შემთხვევებში იქნება კრიზისული მართვის პროგრამა, რომელიც სწავლობს მათ პრობლემებს და, შესაბამისად, მათ დახმარებას უზრუნველყოფს.“

ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის მიერ წარმოდგენილ პროექტს დადებით შეფასებას აძლევს ასევე ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის კომისიის თავმჯდომარე გივი თხელიძე და განმარტავს: „სამსახურს, ქალბატონ ნანა კიკნაძეს, ალექსანდრე ტაბატაძეს, ასევე ქალბატონ ანა ფურცელაძეს - ყველას, საკმაოდ პროფესიონალურ დონეზე აქვთ ნამუშევარი. მინდა შევეხო ერთ საკითხს და იქნებ ამაზე ვიმსჯელოთ. მაგალითად, ადამიანი, რომელიც არის სოციალურად დაუცველი და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ორ-სამჯერ მოხვდა რენაინციაციაში, რის შემდეგაც მისთვის განკუთვნილი 15 000 ლარი ფაქტიურად ამოწურა, რა ბედს ეწევა მას, თუ ამ ყველაფრის მერე გადაუდებელი ოპერაცია დასჭირდება. ეს ძალიან მძიმე პრობლემაა. ასეთი შემთხვევები ბევრი არ იქნება, იქნებ ამაზე დავფიქროდეთ.“

ალექსანდრე ტაბატაძე - „ჩვენ გვექონდა ასეთი შემთხვევა და ოპერაცია 700 ლარით დავაფინანსეთ. მართალია ეს საკმარისი თანხა არაა, მაგრამ დაგეთანხმებით, რომ ასეთი შემთხვევები იშვიათია და ჩვენ ვიმსჯელებთ ამაზე.“

წარმოდგენილ პროექტს საკრებულომ ერთხელ დაუჭირა მხარი.

თაბაჩიძე



# საპრობულოს სხდომაზე ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში მოისმინეს

4 მაისს ხარკაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა. სხდომაზე დეპუტატებმა გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში მოისმინეს. საკითხი მათ სოციალური დაცვის განყოფილების უფროსმა, ალექსანდრე ტაბატაძემ, გააცნო. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის განყოფილების უფროსმა, ალექსანდრე ტაბატაძემ, გააცნო. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის განყოფილების უფროსმა, ალექსანდრე ტაბატაძემ, გააცნო. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის განყოფილების უფროსმა, ალექსანდრე ტაბატაძემ, გააცნო.

ბოდა უპრიანი, ეს თანხები დაგეგმულანსებინა, გამოგვეყვანა საშუალო ციფრი და ისე გადაგვეწვინებინა,“ - აღნიშნა ქეთევან ზუმბაძემ. ალექსანდრე ტაბატაძე: „ის ორი საპატიო ხარაგაულელი, რომელთაც პირველ ჯერზე გადავაციეთ ფულადი დახმარება, ეკონომიურად გაქირავებულები იყვნენ. პროექტი გრძელდება და წლის ბოლომდე სხვა საპატიო ხარაგაულელებსაც გადავცემთ ფულად კომპენსაციებს. ხოლო, რაც შეეხება თანხების დაბალანსებას, ამაზე ფიქრი შეიძლება“.

ქეთევანი ქეთევანი განაგრძობს ჯანდაცვის სფეროს გარშემო კითხვების დასმას და საკრებულოს დეპუტატებს მიმართავს. „იქნებ მიპასუხოთ, 25 აპრილს გრანდიოზული გახსნის შემდეგ, რატომაც ხარაგაულის ემერჯენს ამბულატორია დახურული. რამდენიმე დღის წინ ავედი, მინდოდა, კეთილი ნება გამომეხატა და მედპერსონალისთვის მიმელოცა, მაგრამ კარები საგულდაგულოდ ჩაკეტილი დამხვდა. საავალია ის იყო, რომ გზად შემხვდა ქალბატონი, რომელიც ტაქსით მოძრაობდა და იმედგაცრუებული ბრუნდებოდა უკან, რადგან დაინახა სახლში „გახსნა“ ამბულატორიაში სათანადო გამოკვლევა ვერ ჩაიტარა. რა ხდება? თუ ამბულატორია ფუნქციონირებს არ იწყებდა, რა საჭირო იყო ასეთი ზარ-ზეიმის მოწყობა? დეპუტატმა აზა ფურცელაძემ განმარტა, რომ ახალ ამბულატორიაში დამონტაჟებული თანამედროვე აპარატურა, რომელსაც სჭირდება სპეციალურად გადამზადებული კადრები. „ამჟამად ჩვენი მედიკოსები ბოროტის ამბულატორიაში გადინსწავლებას. ველოდებით მათ დაბრუნებას და ასევე ინტერნეტის ჩართვას, რომელიც ახალი აპარატურებისთვის აუცილებელია. კომპანია „სილენტიან“ უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები, უახლოეს მომავალში ეს პრობლემა მოგვარდება და ამბულატორია მთელი დატვირთვით ამუშავდება. რაც შეეხება იმას, იყო თუ არა საჭირო ასეთი ზარ-ზეიმით გახსნა, დიას, სწორედ რომ იყო, რადგან ხარაგაულისთვის წლების განმავლობაში საოცნებო ამბულატორია აშენდა.



ქალბატონო ქეთევან, თუ ასე გაგებარდათ ამბულატორიის გახსნა და მედპერსონალისთვის მილოცვა გინდოდათ, კარგი იქნებოდა, გახსნის დღეს მოსულიყავით და ყველანი ადგილზე დაგვადებოდნენ. ამბულატორია ხარაგაულისთვის გაიხსნა და თქვენს ადგილზე ნამდვილად არ მიცემდით ამას პოლიტიკურ დატვირთვას“.

თაა ბერიძე

## დიადი გაბარჯვების 70 წლისთავი

### პახანუი მებულაუი, მამა!

სიამაყით, მადლიერებითა და თან სევდით ვიგონებ 1981 წლის ივლისის დღეებს, როცა ვიყავი მონაწილე იმ ექსკურსიისა, რომელიც ხარაგაულელი ომის ვეტერანებისთვის მოეწყო ყირიმის ცეცხლოვან მიწაზე. სევდა მიპრობს, რადგან ხარაგაულის საზოგადოებას ექსკურსიის მონაწილე ვეტერანთაგან დღეს უკვე აღარ ამშვენებენ: იაშა ბუაჩიძე, სერგო ებანოიძე, ნესტორ ბუხნიკაშვილი, ავტსენტი თხელიძე, ნიკო შველიძე, გოგი ცხადაძე, ლევან ლურსმანაშვილი... მარადიული მშვიდობა ამ სახელოვან მამულიშვილებს, თითოეული მათგანი დარჩება სიმბოლოდ გმირობისა, ვაჟკაცობისა, მშობელი მიწის სიყვარულისა!

ცხადაძე. ყველა ჩვენგანს სათუთად თითქმის თილისმასავით გვექონდა ნაღებული ხარაგაულის სხვადასხვა სოფლებიდან აღებული მიწა. ბატონ გოგის მიერ ვახანთან ნამოღებულ მიწას სხვა დატვირთვა ჰქონდა. ბატონი გოგი ომის დროს ყირიმში დაღუპული მამის, ვარლამ გედევანის ძე ცხადაძის, საფლავს ეძებდა, რომ მასთან ამ მიწით მშობლიური სოფლის სუნთქვა მიეტანა... ქერჩი, ფეოდოსია, სიმფეროპოლი, იალტა, ლივადიის სასახლე, სევასტოპოლი განუმეორებელი პანორამითა და დიორამით საპუნ-გორაზე, ბახჩისარაი, ბელოგორსკი, აჯიშუქაი... ძმაო სასაფლაოებზე ვეძებდით „ჩვენიანებს“ და აი, მივედით გლაზოვკაში (ყოფილი ბაქსი). გიდი გვიამბობს უკეთილშობილესი მეთოდით იაროსლავცევისა და მისი მეუღლის ამბავს. ისინი ამ სოფელში ცხოვრობდნენ. სამი ვაჟკაცი ბრძოლის ველზე ჰყავდათ გასტუმრებული, თუმცა შინ არცერთი დაბრუნებულა... გლაზოვკასთან, ძირითადად, 414-ე ქართული დივიზიის ნაწილები იბრძოდნენ. სოფლის ველ-მინდვრებს დღითიღვე ემატებოდა უწყალოდ დაღუპულ ჯარისკაცთა გვამები. მოსვენება დაკარგა მოხუცმა. ენანებოდა მგლებისა და ყვავ-ყორნების კერძად დარჩენილი ვაჟკაცები და თავისი ოჯახის საარსებო წყარო - ალუბლის ბაღი - შინდაუბრუნებელთა სამძიმო საფლავად აქცია.



ექსკურსანტთა შორის იყვნენ ხარაგაულის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: გივი გოგოლაძე (ჯგუფის ხელმძღვანელი), პავლე ფურცელაძე, ავთანდილ ხიჯაკაძე, ზაირა ფოფხაძე, ლილი ბაქრაძე, ანგელინა კვირიკაშვილი, ოლია ბიტვარდა, ეთერ ბიძინაშვილი, ქეთევან გიორგიძე, მოსწავლე-ახალგაზრდები: თენგიზ, ბესიკ, გოჩა ბუაჩიძეები, პაატა ხიჯაკაძე.

როგორც სხვა სამძიმო საფლავებზე, ექსკურსანტებმა აქაც გაიხსნიეს საფლავთა მწკრივები, ამოვიკითხეთ გვარები: აბულაძე, ბეგიაშვილი, კუტიბაშვილი, ქვრივიშვილი, ჩეჩელაშვილი, ბიჩინაშვილი, გრემელიშვილი, მრეველიშვილი, მამულაშვილი... და ამ დროს მოგვესმინა ქალბატონ ზაირა ფოფხაძის (მშვიდობა მის კეთლსულს!) ძახილი: გოგი, გოგი, აი მამათქვენის საფლავი! ყველა იქით გავეშურეთ. ძნელია, სიტყვებით გამოვხატო მამა-შვილის „შეხვედრა“ ბრგვე ვაჟკაცმა თითქმის გულში ჩაიხუტა მონატრებული მამის საფლავი და სული დამიშვინდა, როცა ვახანის მიწა შეუერთა მის წმინდა საფლავს... — ჩემო მამა, ამიერიდან ჩავთვლი, რომ გლაზოვკაში კი არა, ვახანშია შენი საფლავი, შენს ახლოებულთა შორის... ამიერიდან ვახანში მეგულდები, მამა!

ნოსტალგია მიძლიერდება იმ დღეებისა, როცა „მკერდმოჭრილი ამორბალი არ იყო აფხაზეთი...“ 15 ივლისს საღამოთი ულამაზეს კურორტ გავრამში ჩავედით, რამდენიმე საათი დავყავით ზღვისპირა უმშვენიერეს პარკში, ღამე კოლხიდაში გავათითეთ... ნოვროსისისკი, „მცირე მიწა“ (ჩემზე უფროსა და ჩემს თაობას ალბათ კარგად ახსოვს, რომ იმჯერად დიდ სამამულო ომში ჩვენი გამარჯვების ეპოპეა კინაღამ „მცირე მიწით“ შემოიფარგლა... თუმც, საბედნიეროდ, ისტორიას შესწევს ძალა, რომ შედგენისაგან მალევე განტვირთოს რეალობა და მარტოოდნენ ერთ ლიდერს არ მიაწეროს ქარიშხლიან დღეთა მონაბოვარი...)

ათეული წლების შემდეგ თითქოს ახლაც ჩამესმის ცრემლითა და ემოციით დატვირთული ეს სიტყვები... სათანადო პატივი მივაგავთ სამძიმო საფლავის ყველა ბინადარს (სულ 110 საფლავია!) და განსაკუთრებული მადლიერებით შევჩერდით თვით მეთოდით იაროსლავცევის საფლავთან, მან ხომ ანდერძის თანახმად სამუდამო მკვლევარად ითვლება თვის საყვარელ „შვილთა“ შორის ჰპოვა.


ადედა „მცირე მიწის“ ცეცხლოვანი დღეების ყველა მონაწილეს, მათგან დაღვრილ უწმინდეს სისხლს! \* \* \*

მუხთაღმა წუთისოფელმა მარადიულ ცხოვრებას შეუერთა გოგი ცხადაძეც, მაგრამ წავიდა ნატვრასარულბული სიმშვიდით, რადგან ყირიმის მიწაზე დაიფლავა სათუთად მოვლილი მშობელი მამის საშუალო საფლავი.

მარი გიორგიძე

## სამუსიკო სკოლის საკონსერტო დარბაზში კლასიკური მუსიკის კონსერტი გაიმართა

5 მაისს შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში კლასიკური მუსიკის კონცერტი გაიმართა. სამუსიკო სკოლის პედაგოგების ხათუნა მაჭავარიანისა და დარეჯან გვაძაბიას მოსწავლეები მასურებლის ნინაშე მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგნენ და ცნობილი ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებები შეასრულეს. მათ შთამბეჭდავად წარმოაჩინეს საკუთარი ცოდნა და ნიჭი, რაც სიხარულის მომტანი გახდა მოსწავლეთა მშობლების, პედაგოგებისა და ხარაგაულის საზოგადოებისათვის. კონცერტმა კიდევ ერთხელ გამოავლინა შედეგი იმ რუდუნებითი შრომისა, რასაც ამ უმშვენიერესი სააღმზრდელო ცენტრის პედაგოგები ეწევიან.



## 12 მაისს წმ. ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, ხარაგაულში წმინდანის მირონმდინარი ხატი ჩამოვრძანდება

წმ. ანდრია პირველწოდებულის ხატი დანერგის საქართველოს სხვადასხვა ეპარქიებში მოგზაურბრძანდა, ხოლო მას შემდეგ, (დაახლოებით 2003 წლიდან) რაც ხატმა მირონდენა დაიწყო, იგი პატრიარქის კურთხევით თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში, დაბრძანდა. გაედი წლები, ანდრია პირველწოდებულის ხატს მირონდენა არ შეუწყვეტია და არც ადგილი შეუცვლია. ამ ცოტა ხნის წინ ხარაგაულის მკვიდრმა, შოთა ხარატიშვილმა, (მის სახელს უკუთვინს წმინდანის ხსენების დღეს რკინის ვაგონზე მსველეობის ტრადიცია) სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან შეხვედრისას მიიღო კურთხევა, რომ ხატი ყოველ წელიწადს, წმინდანის ხსენების დღეს, რკინის ვაგონის მთაზე დაბრძანდეს, იქ, სადაც ანდრია პირველწოდებულმა პირველად დადგა ფეხი. გთავაზობთ ხატის ჩამოვრძანების განრიგს: 10 მაისს თბილისის სიონის საკათედრო ტაძრიდან წმინდანის ხატი საღამოს 6 საათზე გამოვრძანდება. დაახლოებით 9 საათზე იგი ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამლოცველოში დაიდებს ბინას, სადაც აღევლინება პარაკლისი. 11 მაისს, დღის 9 საათზე, ხატს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხატი დანერგის საქართველოს სხვადასხვა ეპარქიებში მოგზაურბრძანდა, ხოლო მას შემდეგ, (დაახლოებით 2003 წლიდან) რაც ხატმა მირონდენა დაიწყო, იგი პატრიარქის კურთხევით თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში, დაბრძანდა. გაედი წლები, ანდრია პირველწოდებულის ხატს მირონდენა არ შეუწყვეტია და არც ადგილი შეუცვლია. ამ ცოტა ხნის წინ ხარაგაულის მკვიდრმა, შოთა ხარატიშვილმა, (მის სახელს უკუთვინს წმინდანის ხსენების დღეს რკინის ვაგონზე მსველეობის ტრადიცია) სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან შეხვედრისას მიიღო კურთხევა, რომ ხატი ყოველ წელიწადს, წმინდანის ხსენების დღეს, რკინის ვაგონის მთაზე დაბრძანდეს, იქ, სადაც ანდრია პირველწოდებულმა პირველად დადგა ფეხი.

გოგები ეწევიან. აქვე ხაზგასასმელია სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელის მუდმივი ზრუნვა, რათა ყველაგოგებსაც და მოსწავლეებსაც ჰქონდეთ ყველა პირობა თავიანთი უნარ-შესაძლებლობების გამოვლენისა და სრულყოფისა. სამუსიკო სკოლის დირექტორმა, **ლალი ალექსიძემ**, ღონისძიებაზე აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით სამუსიკო სკოლამ ახალი როიალი შეიძინა და მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს ყურადღებისა და გვერდში დგომისათვის. ქალბატონმა ლალიმ ასევე დამსწრე საზოგადოებას სამუსიკო სკოლის მოსწავლეების წარმატებები გააცნო: „სალომე მაჭავარიანი გასულ წელს მოსწავლეთა რესპუბლიკურ საფორტეპიანო კონკურსში „შემოღობის“ ფიათურა“ წარმატებული მონაწილეობისათვის დიპლომით დაჯილდოვდა. ასევე ჩვენი მოსწავლეები: ანა მაჭავარიანი, სალომე მაჭავარიანი და სალომე კვიციანიშვილი კლასიკური მუსიკის საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში „მომავლის ვარსკვლავები“ მიიღებენ მონაწილეობას. მათ კონკურსის რამდენიმე ეტაპი წარმატებით გადალახეს და მისის შუა რიცხვებში კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში დაუკრავენ“.

კაა შავიძე

## „ვინ ჩამოიხსნა ზღაპარი“

დაბა ხარაგაულის საბავშვო ბიბლიოთეკაში პროექტი „ვინ ჩამოიხსნა ზღაპარი“, კარგა ხანია, მიმდინარეობს. დაბის საჯარო სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ზღაპარს სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები უკითხავენ. პროექტის მიზანია, ბავშვებს პატარა ასაკიდანვე შეეძინათ გარკვეული და ამასთანავე დადებითი წარმოდგენა სხვადასხვა სპეციალობის მქონე ადამიანთა მიმართ. 7 მაისს საბავშვო ბიბლიოთეკაში მორიგი ზღაპარი „წუნა და წრუნუნა“ მოვისმინეთ, რომელიც ამჯერად მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **მარინა ვაფსხაძემ** წაიკითხა. პატარები ქალბატონი მარინას მონათხრობს, დიდი გულისყურით უსმენდნენ და სიხარულს დადებითი ემოციებით გამოხატავდნენ. დასასრულს ბავშვებმა მულტიფილმი „წუნა და წრუნუნა“ ნახეს და ზღაპრის თემაზე შექმნილი კროსკორდი შეავსეს. მარინა ვაფსხაძე პატარებს სამომავლოდ საკუთარი ზღაპრების წაკითხვას დაჰპირდა.



თაა ბერიძე



### ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საგაზაფხულო სამუშაოები აპტიურად მიმდინარეობს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დამატებით შ.პ.ს „მეკანიზატორის“ 6 ტრაქტორი შემოვიდა, რომლებიც საღანძობის, ვახანის, კიცხის, წყალაფორეთისა და ვარძიის ადმინისტრაციულ ერთეულებში გადანაწილდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტის ვაჟა მაჭავარიანის ინფორმაციით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საგაზაფხულო სამუშაოები აპტიურად მიმდინარეობს და მოსახლეობას ამ კუთხით პრობლემები არ შეექმნება. ამ ეტაპზე „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების“ პროგრამის ფარგლებში დამუშავებულია 150 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი.

წელს მუნიციპალიტეტში მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით 11 682 ჰენეფიცარი ისარგებლებს, აქედან 8 141 ხენის ბარათით, ხოლო 3 541- აგრობარათით. ბარათზე არსებული თანხის განაღდება შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო მალაზიებში. ბენეფიციარს შესაძლებლობა ექნება შეიძოს პროექტით განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო საქონელი (სასუქი, სათესლე მასალა, მცენარეთა მოვლის საშუალებები).

### „რა? სად? როდის?“ გააჩვენებელი დაბის ბუნდი გახდა

4 მაისს ხარაგაულის კინოთეატრში ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ ფინალური შეხვედრა გაიმართა. ერთ-მანეთს დაბის, მოლითის, ხუნევისა და კიცხის ადმინისტრაციული



ერთეულები შეხვდნენ. თამაში გამარჯვება დაბის გუნდმა მოიპოვა. გამარჯვებულებს სამახსოვრო სიგელები და საჩუქრები გამგებლის პირველმა მოადგილემ პაატა გოგოლაძემ, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ და თამაშის წამყვანმა დავით ჩაღუნელმა გადასცეს.

შეგახსენებთ, რომ ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ 4 აპრილს დაიწყო და მასში მონაწილეობას 17 ადმინისტრაციული ერთეული იღებდა.

### ხარაგაულში „ანარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა

პირველ მაისს ა(ა)იპ „სკაუტური მოძრაობის ასოციაციის“ წარმომადგენლების ორგანიზებით, ხარაგაულის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში „ანარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა. სტუმრებმა შეხვედრაზე ვრცლად



ისაუბრეს სახელმწიფო პროგრამის შესახებ და დაინტერესებულ პირებს საკონსულტაციო მომსახურებაც გაუწიეს. პროგრამის მიზანი რეგიონებში მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება, მეწარმეობის მხარდაჭერა, რეგიონული ბაზრების განვითარება და მოსახლეობის შემოსავლების ზრდაა. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, პროექტი, როგორც დამწყებ ასევე არსებულ მეწარმეზე თანამონაწილეობრივი დაფინანსების გაცემას ითვალისწინებს. დაფინანსება გაცივმა, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო წარმოებზე. დაფინანსების მაქსიმალური ოდენობაა ერთ მეწარმეზე-5 000 ლარი, ხოლო ორ ან მეტ მეწარმეზე-15 000 ლარი. დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში მეწარმეს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 20%-იანი თანამონაწილეობა ბიზნესში.

დაფინანსების მოპოვებისათვის საჭიროა ბიზნეს იდეის წარდგენა, რის შემდეგაც გამოვლინდება საუკეთესო ბიზნეს იდეის ავტორი. საუკეთესო ავტორები გაივლიან ტრენინგებს, რათა შეადგინონ პროფესიონალური ბიზნეს გეგმა და მოიპოვონ თანადაფინანსება.

გამარჯვების შემთხვევაში მეწარმეს ეძლევა შესაძლებლობა, საკუთარი ბიზნესის საწარმოებლად სახელმწიფოსგან მიიღოს შესაბამისი დაფინანსება. სახელმწიფო დასავლეთსა და რაჭა ლეჩხუმში აღნიშნული პროექტის ფარგლებში 700-მდე ბიზნეს იდეას დააფინანსებს.

პროექტში ჩართვა შესაძლებელია 18 მაისამდე სპეციალური განცხადების შევსებით, სკაუტური ორგანიზაციის მისამართზე WWW.qartuli.ge-ზე. ტელ 0431242613

თამარ მაღრაძე

## შეხვედრა ბაზალეთის ბიბლიოთეკაში - „ნიგნი ყველას უნდა უყვარდეს“

7 მაისს სოფელ ბაზალეთის ბიბლიოთეკაში მათორიტარი დეპუტატი **პარლამ ჭიკაშვილი** აქტიურ მკითხველებს შეხვდა. სოფლის ბიბლიოთეკას წლების განმავლობაში არ ჰქონდა შენობა. ვარლამმა, როცა ის ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლად მუშაობდა, მიზნად დაისახა სოფლის ბიბლიოთეკისთვის შენობის მოწყობა და შეასრულა კიდევ. ახლა სოფელს პატარა, კოხტა, სუფთა, მოწესრიგებული და მოვლილი, ნიგნებით სავსე ბიბლიოთეკა აქვს, რომელსაც ლევანდოსილი ბიბლიოთეკარი, ნიგნებზე უზომოდ შეყვარებული, ქალბატონი **ივოლა ჩიკაშვილი** ხელმძღვანელობს. ვარლამ ჭიკაშვილმა აქტიური მკითხველები **მერი ღვინოსიძე** და **მარინა გიორგაძე-მისნი**, სიმბოლური, ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა. შეხვედრას ბაზალეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებიც ესწრებოდნენ. დეპუტატი შეკრებილებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნიგნის როლზე ესაუბრა. „მკითხვის სიყვარული ყველა ბავშვში არსებობს და ადრეულ ასაკშივე ვლინდება. როცა ბავშვს წარმოდგენაც არ აქვს ნიგნის რაობაზე, იგი ზღაპრის მომწიფი ინტერესდება. ყველა ადამიანი ასაკის შესაფერისი ნიგნი უნდა იკითხოს, რადგან მისი მეშვეობით ვსწავლობთ ეროვნულ სულისკვთებას, კულტურას, გმობობას. ნებისმიერი ნიგნი რომ ავიღოთ, ჩემი მეგობრებო, რაც მეტჯერ ნავიკითხავთ, მით მეტ სასარგებლოს ვპოულობთ მასში. ნიგნი ყველას უნდა უყვარდეს, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას, რადგან იგი არის ცოდნის მიღების და სულიერების ამაღლების შეუცვლელი საშუალება,“ - აღნიშნა **პარლამ ჭიკაშვილმა**.



რადგან იგი არის ცოდნის მიღების და სულიერების ამაღლების შეუცვლელი საშუალება,“ - აღნიშნა **პარლამ ჭიკაშვილმა**.

თაა ბარიძე

## ხარაგაულის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეები კომპ ლინა ბარათაშვილს უმხვდნენ

1 მაისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის N2 საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლეებმა (პედაგოგი დოდო გელაშვილი) საშუსიკო სკოლის დარბაზში ლამაზი ღონისძიება გამართეს. ღონისძიების საპატიო სტუმარი, ხარაგაულის საპატიო მოქალაქე, პოეტი ქალბატონი **ლინა ბარათაშვილი** გახლდათ. მოსწავლეებმა ნაიკითხეს ქალბატონი ლინას ლექსები და მხატვრულად წარმოადგინეს ეპიზოდები საქართველოს ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი წლებიდან. ღონისძიებას ალამაზებდა ქართული სიმღერები და ცეკვები.

დასასრულს სიტყვით გამოვიდნენ N2 საჯარო სკოლის დირექტორი ვალერი გოგნაძე და კლასის ხელმძღვანელი დოდო გელაშვილი. ბატონმა ვალერიმ ქალბატონი ლინას შემოქმედებაზე და მის მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრა. საქრებულოს ნევრმა ვალოდა კელენჯერიძემ კი ქალბატონ ლინას სამახსოვროდ თავისი ცხოვრების ამსახველი ნიგნი გადასცა.

პოეტმა ქალბატონმა ღონისძიებაზე ახალი ლექსები წაიკითხა, რომელიც ვერ მის კრებულში არ შესულა. ლინა ბარათაშვილმა შეხვედრაზე ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ მისი ფესვები ხარაგაულშია, რითაც ძალიან ამაყობს.

ღონისძიების დასასრულს ქალბატონ ლინას სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად მომავალმა პირველკლასელებმა ყვავილები მიართვეს.



## ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“ - ხარაგაულში

ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დააარსა. მისი მიზანია ფესტივალის მონაწილეები აღდგომიდან ამაღლებამდე პერიოდში საქართველოს ყველა რეგიონში ჩავიდნენ, იქ ღონისძიებები გამართონ და კაცობრიობის სულიერ სამყაროში აღდგომით გამოწვეული

ვმოგზაურობდით მუსიკის უკიდევანო სამყაროში. ღონისძიებას ხარაგაულის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, უბისისა და მარგვეთის ეპარქიის ეპისკოპოსი მუხომე მუქისედეკი და სხვა სასულიერო პირები ესწრებოდნენ. ამ დღეს ხარაგაულში სტუმრად იმყოფებოდა ასევე საპატრიარქოს ფონდის ხელმძღვანელი, ბატონი ლამა ჟვანია. „ხარაგაულს ჰყავს განსაკუთრებულად აქტიური გამგებელი კობა ლურსმანაშვილის სახით. სწორედ მისი დაჟინებული მოთხოვნითაა, რომ ფესტივალი დღეს აქ გაიმართა“- განაცხადა კონცერტის მსვლელობისას ლამა ჟვანიამ.



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მადლობა გადაუხადა ფესტივალის ორგანიზატორებს: „მინდა მადლობა გადავუხადო ფესტივალის ორგანიზატორებს, ბატონ ლამას, მონაწილეებს „გორდელას“ და თბილისის მერიის „ბიგ-ბენდს“. ხარაგაულისთვის ეს უდიდესი საჩუქარია. დღეს კიდევ ერთხელ გამოიკვეთა საჭიროება, რომ ღია ესტრადა სათანადოდ მოეწყოს, რათა უკეთეს პირობებში შევძლოთ სტუმრების მიღება და ღონისძიების ჩატარება. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მომავალი კონცერტი უკვე ახალ ამფითეატრში გაიმართება და ხარაგაულში აღმშენებლობის პროცესი უწყვეტი რეჟიმით გაგრძელდება.“ ღონისძიების დასასრულს ფესტივალის მონაწილეები და ორგანიზატორები მუხომე მელქისედეკმა დალოცა და ხარაგაულში ტაძრის მშენებლობაზეც ისაუბრა: „ემოციებით ვარ დატვირთული, სიტყვებს ნაკლებად მოვიძიებ, რადგან ასეთ სიტუაციაში სიტყვები ძალიან ღირებულა. მინდა, მადლობა გადავუხადო ფესტივალის ორგანიზატორებს და გადმოვცეთ მისი უწინმდესობის ლოცვა-კურთხევა. ხარაგაულში უკვე დასასრულს უახლოვდება ტაძრის მშენებლობა, რომელსაც ჩვენ ყველანი ერთად მალე დავამთავრებთ. მინდა, მადლობა გადავუხადო ადგილობრივ ხელისუფლებას, ბატონ კობას, რომელიც ძალიან ბევრს აკეთებს ეკლესიის მშენებლობისთვის. ვიმედოვნებ, რომ გვირგვინი თქვენი წამოწყებული საქმიანობების იქნება ეკლესიის გახსნა, რომელიც დაამშენებს ხარაგაულს.“

თაა ბარიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ წევრები სამხმარის უცხადებენ ვარძიის მათორიტარ დეპუტატს გივი ხიჯაკაძეს დედის **ლელა გიორგაძე-ნიჯაპაძის** გარდაცვალების გამო და თანაურგძმობენ განსვენებულის ოჯახს.

<p><b>გამომცემელი</b></p> <p>ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი ა(ა)იპ „ახალი ხარაგაული“.</p> <p>მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ. №15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1000 ცალი</p>	<p><b>რედაქციის მისამართი: ქაა შავიძე</b></p> <p><b>ტელ.: 595 51 98 12</b></p> <p><b>სარედაქციო კოლაქია:</b></p> <p><b>თაა ბარიძე</b></p> <p><b>თამარ მაღრაძე</b></p>	<p>რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდება. გაზეთში დაბეჭდილი მასალებისა და სურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ რედაქციის თანხმობით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აკისრებს ავტორი. გამოთქმული მასალები შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.</p>
---	---	--